საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა

«02» 09 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1205/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2012 წლის 18 ივლისის N 68105/03 განცხადებით შპს „სავაჭრო სახლი კახელების" წარმომადგენელმა ნატო ჩადუნელმა (მის: დავით აღმაშენებლის 71, თბილისი) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „სასადილო კახელები" (რეგ. N 23992) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში რეგისტრაცია. სასაქონლო ნიშანი „„სასადილო კახელები" (რეგ. N 23992) „საქპატენტში" რეგსტრირებულია 02.09.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 02.09.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 29-ე და 31-ე კლასებს საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სასაქონლო ნიშანზე „სასადილო კახელები" (რეგ. N 23992) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N 353), მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 02.09.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი — ეკატერინე ეგუტია

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შპს „სავაჭრო სახლი კახელების" წარმომადგენელს ნატო ჩადუნელს (მის: დავით აღმაშენებლის 71, თბილისი)

ასლი დედანთან სწორია
02 " 09 2013 წ.
ხელმოწერა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი: [redacted]

რეგისტრაციის N: **23992**

მფლობელი: **შპს „სავაჭრო სახლი კახელები“**

მისამართი: **დავით აღმაშენებლის 71, 0102, თბილისი, საქართველო**

კლას(ებ)ი:

29 - ხილი თბურად დამუშავებული.

31 - ცოცხალი ხილი .

43 - საკვები პროდუქტებითა და სასმელებით უზრუნველყოფა; დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა.